ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4711996

ნომერი: AR1703635

თარიღი : 27.08.2019

გაცემის თარიღი : 15.10.2019

გაცნობის თარიღი : 15.10.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I და II-ს შორის ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა ცისკარაშვილი პ/ნ 13001059227
- გურჯაანი ს. გურჯაანი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1703635 განცხადებაზე № 4671580 და № 4683448 გადაწყვეტილებებით, რაც თქვენი მხრიდან არ არის გამოსწორებული, კერძოდ:

- ფოტომონტაჟზე არასწორად არის მონიშნული საპროექტო ფართი. თქვენს შემთხვევაში მონიშნულია ქვედა ნაწილი, თუმცა სარეკლამო აბრის განთავსება ხდება ზემოთ, რომელიც არ არის მონიშნული. თუ აღნიშნული ფართი სხვის საკუთრებაშია, მაშინ წარმოსადგენი იქნება ნოტარიულად დამიოწმებული მესაკუთრის თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მონიშნეთ ზედა ნაწილიც, მიუთითეთ გაბარიტული ზომები და პროცენტულობა დაიანგარიშეთ შესაბამისად. გაითვალისიწინეთ, რომ „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინეთ განახლებული ფოტომონტაჟი.

გაითვალისწინეთ, რომ კიდევ ერთხელ გიხარვეზდებათ და ამ ჯერზე სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.